

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს

2015 წლის ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული
ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ

- 2014 წლის 8 დეკემბრიდან 2015 წლის 8 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 156 განაცხადი. აქედან:
 - დაკმაყოფილდა - 149;
 - განხილვის პროცესშია - 7;
 - სამინისტროს საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დაკისრების არცერთი შემთხვევა არ გამოვლენილა.
- სამინისტრომ შეაგროვა და დაამუშავა საჯარო მონაცემთა ბაზის შემდეგი სახეები:
 - იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მონაცემთა ბაზას დაემატა 5 385 პირის მონაცემი;
 - აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში უძრავი ქონების აღრიცხვის მონაცემებს დაემატა 3 დეკლარაცია, ხოლო უკვე შევსებული დეკლარაციებიდან 15-ს ჩაემატა დამატებითი მონაცემები;
 - ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა 66 და ჰუმანიტარული სტატუსი - 846 პირს.
- იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ მონაცემები გადაეცა:
 - საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (ხუთჯერ);
 - სოციალური მომსახურების სააგენტოს (ეგზავნება ყოველთვიურად, დევნილთა მიერ შემწეობის მისაღებად).
- საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღებისათვის მოსაკრებლის ოდენობამ შეადგინა 32,25 ლარი.

სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირად დადგენილია ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გოგუცა გურული.